



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ PL - 04	გვერდების რაოდენობა: 1/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	---	--



აკრედიტაციის ერთიანი ორგანო - აკრედიტაციის ცენტრი

PL - 04

აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ

შემუშავებულია:

გადახდილია:

დამტკიცებულია:

ნესტან მგელაძე
სამსახურის უფროსი

აკრედიტაციის კომიტეტი

მალხაზ ხარეზავა
გენერალური დირექტორი მ.შ



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ PL - 04	გვერდების რაოდენობა: 2/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	---	--

1. ზოგადი

1.1 ეს დოკუმენტი ეხება საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებულ (ან აკრედიტაციის მაძიებელ) შესაბამისობის შეფასების ორგანოებს (CABs), რომლებიც ატარებენ დაკალიბრების და გაზომვის პროცედურებს.

1.2 დოკუმენტი განსაზღვრავს გაზომვების მიკვლევადობის მისაღებ წყაროებს და დებულებებს ევროპის აკრედიტაციის (EA) და ლაბორატორიების აკრედიტაციის საერთაშორისო თანამშრომლობის (ILAC) პოლიტიკისა და პრინციპების შესაბამისად *გარდამავალი პერიოდისათვის* და ამ პერიოდის შემდეგ.

2. გაზომვის მიკვლევადობის წყაროები და დებულებები გარდამავალი პერიოდის შემდეგ - 2015 წლის 1 იანვრიდან

2.1 საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული (ან აკრედიტაციის მაძიებელი) შესაბამისობის შეფასების ორგანოების მიერ განხორციელებული ყველა გაზომვა და დაკალიბრება უნდა იყოს მიკვლევადი ერთეულების საერთაშორისო სისტემის მიმართ.

2.2 ფიზიკური სიდიდეების ერთეულები უნდა გავრცელდეს დაკალიბრების უწყვეტი ჯაჭვის საშუალებით.

2.3 შესაბამისობის შეფასების ორგანოებმა უნდა განსაზღვრონ სტანდარტული ნიმუშების და სხვა მნიშვნელოვანი გასაზომი ინსტრუმენტების დაკალიბრების სათანადო ინტერვალები.

2.4 აკრედიტებული (ან აკრედიტაციის მაძიებელი) შესაბამისობის შეფასების ორგანოების მიერ გამოყენებული გაზომვის ყველა სტანდარტული ნიმუში, გაზომვის ინსტრუმენტები და გაზომვის მოწყობილობები, აგრეთვე ის მოწყობილობები, რომლებიც უშუალო ზემოქმედებას ახდენს გაზომვის შედეგის ხარისხზე, უნდა იყოს დაკალიბრებული შემდეგი ორგანოების მიერ:

- ა) მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტები, მათ შორის საქართველოს ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტი (NMI – GEOSTM), რომელიც არის CIPM/BIPM ორმხრივი აღიარების შეთანხმების (MRA) მონაწილე იმ სფეროებში, რომელთა გაზომვის განუსაზღვრელობის დონეები გამოქვეყნებულია CIPM დაკალიბრების და შესაძლებელი გაზომვის ცხრილებში (<http://kcdb.bipm.org/appendixC>), რაც შეადგენს ორმხრივი აღიარების შეთანხმების განუყოფელ ნაწილს ან
- ბ) საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის მიერ აკრედიტებული დაკალიბრების ლაბორატორიები, და დაკალიბრების ლაბორატორიები, რომლებიც აკრედიტებულნი არიან იმ EA MLA ან ILAC MRA-ს ხელმომწერი აკრედიტაციის ორგანოების მიერ დაკალიბრების სფეროში.

შენიშვნა:

თუ მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტის მიერ გამოცემული დაკალიბრების სერტიფიკატზე დატანილია CIPM MRA ლოგო, ეს წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას, რომ მეტროლოგიის



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ PL - 04	გვერდების რაოდენობა: 3/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	---	--

ეროვნული ინსტიტუტი არის CIPM MRA ხელმომწერი შესაბამის სფეროში. თუ სერტიფიკატზე არ არის დატანილი CIPM MRA ლოგო, ასეთ შემთხვევაში BIPM KCDB უნდა გადამოწმდეს.

თუ აკრედიტირებული პირის მიერ გამოცემული დაკალიბრების სერტიფიკატზე დატანილია ILAC ლაბორატორია, კომბინირებული MRA ან ტექსტური მითითება ეს წარმოადგენს საკმარის მტკიცებულებას, რომ აკრედიტაციის ორგანოს აკრედიტირებული საკალიბრებელი ლაბორატორია არის ILAC MRA ხელმომწერი დაკალიბრების სფეროში. წინააღმდეგ შემთხვევაში, ILAC ვებ-გვერდზე არსებული აკრედიტაციის ორგანოზე მითითება წარმოადგენს დამატებითი შესწავლის საგანს.

2.5 ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტი (NMI) რომლის მომსახურებაც მოხერხებულია მიზანმიმართული გამოყენებისთვის, მაგრამ არ მოიცავს CIPM MRA ან დაკალიბრების ლაბორატორიას, რომლის მომსახურებაც არის მისაღები მიზანმიმართული გამოყენებისთვის, მაგრამ არ არის შეთანხმებული ILAC MRA ან აღიარებული ILAC -ის მიერ MLA -ს რეგიონალური შეთანხმებით დაკალიბრების სფეროში. ამ შემთხვევაში, შესაბამისობის შემფასებელმა ორგანომ უნდა წარმოადგინოს მოთხოვნილი მიკვლევადობასა და გაზომვის განუსაზღვრელობის შესაბამისი მტკიცებულებები, რომელიც როგორც მტკიცებულება შეფასებული იქნება აკრედიტაციის ცენტრის მიერ.

2.5.1 შესაბამისობის შესაფასებელ ორგანოს მოეთხოვება:

- ა) მომხმარებლის აუდიტის განხორციელებას აკრედიტაციის ცენტრის წარმომადგენლის თანდასწრებით ან სხვა აკრედიტაციის ორგანოს მიერ, რომელიც არის ILAC MRA-ის (რეგიონალური MLA) ხელმომწერის დაკალიბრების სფეროში და
- ბ) შესრულებულ დაკალიბრებაზე გაცემული ჩანაწერის/სერტიფიკატის მიწოდებას, რომელიც შეიცავს სულ მცირე:
- გ) დაკალიბრების თარიღს,
- დ) ობიექტის იდენტიფიკაციას, რომელიც იქნა დაკალიბრებული,
- ე) გაზომვის ერთეული და შედეგები, გაზომვის განუსაზღვრელობის ჩათვლით,
- ვ) ინფორმაცია მიკვლევადობის შესახებ (ან მინიშნება მონაცემებზე).

2.5.2 შესაბამისი მტკიცებულებები ითვლება როგორც შესაძლებელი 2.5, მაგ:

- ა) ლაბორატორიათშორისი შედარებების შედეგები შესაბამის სფეროში,
- ბ) საერთაშორისო შეთანხმების დემონსტრირება სტადნარტი/სტანდარტი,
- გ) დაკალიბრების მეთოდის ვალიდაციის ჩანაწერები,
- დ) გაზომვის განუსაზღვრელობის შედეგების დადგენისა ჩანაწერები და პროცედურები,
- ე) დოკუმენტაცია გაზომვის მიკვლევადობის, საწრმუნო დაკალიბრების შედეგების ხარისხის, პერსონალის კომპეტენციის, შენობის, გარემოს და ხელსაწყოების შესახებ.
- ვ) საკალიბრებელ/საგამოცდო ლაბორატორიების აუდიტები, და ა.შ.

2.6 პუნქტში მითითებული შესაძლებლობა გამოიყენება, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პუნქტში 2.4 მოცემული მომსახურებით ან დაკალიბრებით უზრუნველყოფა არ არის ხელმისაწვდომი



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ PL - 04	გვერდების რაოდენობა: 4/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	---	--

საქართველოში ან მეზობელ ქვეყნებში. არის გარკვეული სახის დაკალიბრებები, რომელთა მკაცრად განხორციელება საერთაშორისო ერთეულების SI მიხედვით ამჟამად არ არის შესაძლებელი. ასეთ შემთხვევებში გაზომვის მიკვლევადობა უნდა დადგინდეს შემდეგნაირად:

- ა) კომპეტენტური მომწოდებლის მიერ მოწოდებული სერტიფიცირებული სტანდარტული ნიმუშების გამოყენება, როდესაც უზრუნველყოფილია ნიმუშების სარწმუნო ფიზიკური და ქიმიური დახასიათება;
- ბ) მოცემული მეთოდების და/ან შეთანხმებული ეტალონების გამოყენება, რომლებიც ნათლად არის აღწერილი და შეთანხმებული ყველა მონაწილე მხარის მიერ.

2.7 იმ შემთხვევაში, როდესაც შესაბამისობის შეფასების ორგანო იღებს გადაწყვეტილებას, რომ თვითონ ჩაატაროს დაკალიბრება (შიდა დაკალიბრება), უნდა შესრულდეს შემდეგი პირობები:

- ა) გამოყენებული საწყისი ეტალონების და/ან სტანდარტული ნიმუშების გაზომვის მიკვლევადობა (იხილეთ მუხლი 2.4 და 2.5);
- ბ) დაკალიბრების პროცედურების გამოყენება (როგორც გამოქვეყნდება მაგალითად, EURAMET-ის ან ISO-ს მიერ); თუ გამოიყენება შიდა პროცედურები, ეს უნდა იყოს სათანადოდ დამტკიცებული;
- გ) ყველა დაკალიბრების გაზომვის განუსაზღვრელობის შეფასება (ფიზიკური სიდიდეები და ინსტრუმენტების ტიპები) უნდა შესრულდეს EA/4-02-ის [1] მიხედვით;
- დ) შიდა დაკალიბრების შესრულება შეფასებების პერიოდში

2.8 სერტიფიცირებული რეფერენს და რეფერენს ნიმუშების მიკვლევადობისთვის ვრცელდება შემდეგი:

- ა) რეფერენს ნიმუშებთან (RM) დაკავშირებული მონაცემები შეიძლება არ იყოს მიკვლევადი.
- ბ) სერტიფიცირებული რეფერენს ნიმუშებთან (CRM) დაკავშირებული მონაცემები არის მიკვლევადი.

2.8.1 აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკის მიერ მოცემული სფერო არის შემდეგი:

- ა) ეროვნული მეტროლოგიის ინსტიტუტის (NMI) მიერ წარმოებული CRM-ს მონაცემები, რომელთა მონაცემთა ბაზა შეიცავს BIPM KCDB, ან CRM-ს ღირებულებები მითითებულია BIPM -ს ვებ გვერდზე JCTLM-ს მონაცემებში, ან CRM-ს მონაცემები წარმოებული აკრედიტირებული რეფერენს ნიმუშის მწარმოებლის მიერ (ISO Guide 34:2009 [2]) განიხილება როგორც მოქმედი ვალიდური მიკვლევადობა.
- ბ) სხვა RM და CRM, რომლებიც არ გვხვდება ზემოთ მოყვანილ ჩამონათვალში განიხილება, როგორც კრიტიკული მასალები და შესაბამისობის შემფასებელმა ორგანომ უნდა დემონსტრირება გაუკეთოს ყოველ RM ან CRM სტანდარტს, როგორც გამოსაყენებლად მისაღებ სტანდარტს აკრედიტაციისთვის.



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ PL - 04	გვერდების რაოდენობა: 5/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	---	--

2.8.2 ამ შესაძლებლობისთვის არის შემდეგი მოთხოვნები:

- ა) RM -ს და CRM-ს მიზანშეწონილების დემონსტრირება,
- ბ) პროფესიულ ტესტირებაში ან მონაწილეობა სხვა შესაბამის ლაბორატორიათშორის შედარებაში,
- გ) ლაბორატორიათშორისი შედარება შესაბამისობის შემფასებელ ორგანოებს შორის, იქ სადაც შეუძლებელია ოფიციალური შედარება
- დ) CRM გამოყენებთ R M/CRM -ს შედარება, რომელიც შეიცავს JCTLM-ის KCDB-ს მონაცემებს,
- ე) RM/CRMის შედარებას სხვადასხვა პროცედურებით,
- ვ) ორი დამოუკიდებელი მეთოდის გამოყენებით RM/CRM -ს მონაცემების დამტკიცებას,
- ზ) ახალი გამოყენებული RM/CRM-ს შედარების უკვე გამოყენებული და გამოცდილი ზემოთ ჩამოთვლილი მეთოდებით, ა.შ.

3 გაზომვის მიკვლევადობის წყაროები და დებულებები გარდამავალი პერიოდისათვის - 2015 წლის 1 იანვრამდე

3.1 საქართველოს ეროვნული მეტროლოგიის ინფრასტრუქტურა ამჟამად ახორციელებს საერთაშორისო დონეზე აღიარებულ წესებსა და პროცედურებს გაზომვის განუსაზღვრელობის დასადგენად. განხორციელების პროცესში საქართველოს აკრედიტაციის ცენტრი განსაზღვრავს შემდეგ მინიმალურ პირობებს გაზომვის მიკვლევადობის დასადგენად აკრედიტებული და აკრედიტაციის პროცესში მყოფი შესაბამისობის შეფასების ორგანოებისათვის:

- საქართველოს მეტროლოგიის ეროვნული ინსტიტუტის მიერ გაცემული დაკალიბრების სერტიფიკატები, რომლებიც ასრულებს ISO/IEC 17025 5.10.4 -ში [3] მოცემულ მოთხოვნებს, მისაღები იქნება საქართველოს აკრედიტაციის ცენტრის შეფასების ჯგუფისათვის როგორც გაზომვის მიკვლევადობის მტკიცება, 2015 წლის 1 იანვრამდე.
- 2015 წლის 1 იანვრის შემდეგ შესაბამისობის შეფასების ორგანოებმა გაზომვის მიკვლევადობა უნდა დაადგინონ ამ დოკუმენტის 2.1 – 2.6 მუხლების შესაბამისად.

4. სქოლიო:

[1] EA/4-02 გაზომვის განუსაზღვრელობის განსაზღვრა დაკალიბრებაში,

[2] ISO Guide 34:2009 ზოგადი მოთხოვნები - რეფერენტული მასალების მწარმოებელთა კომპეტენციისთვის,

[3] სსტ ისო/იეკ 17025:2017 საერთო მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი.



აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა	აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ PL - 04	გვერდების რაოდენობა: 6/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018
--	---	--

საკ-ის პერსონალის მერ პროცედურის გაცნობის ფურცელი

#	სახელი და გვარი	ხელმოწერა	თარიღი
1	ნესტან მგელაძე		20.09.2018
2	მერი დეკანოიძე		20.09.2018
3	მადონა ჯორბენაძე		20.09.2018
4	ალა კუგუშვიცა		20.09.2018
5	ელენე კალანდაძე		20.09.2018
6	ალექსანდრე გაბუნია		20.09.2018
7	ლერი გაჩეჩილაძე		20.09.2018
8	მირიან მიქელაძე		20.09.2018
9	გიორგი შიოლაშვილი		20.09.2018
10	ზურაბ ჩალაძე		20.09.2018
11	მარიამ კვიციანი		20.09.2018
12	მარიამ მესხიშვილი		20.09.2018
13	ლეილა თევზაძე		20.09.2018
14	ლალი მაღნარაშვილი		20.09.2018
15	ლევან არზრუმელაშვილი		20.09.2018

ცვლილებების ფურცელი

გადახედვა	თავი, მუხლი, პუნქტი	თარიღი	ცვლილების შინაარსი	პასუხისმგებელი პირის ხელმოწერა



<p>აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო-აკრედიტაციის ცენტრი მის: თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 42ა</p>	<p>აკრედიტაციის ცენტრის პოლიტიკა გაზომვების მიკვლევადობის შესახებ PL - 04</p>	<p>გვერდების რაოდენობა: 7/7 გამოცემა: 3 გადახედვა: 0 სტატუსი: 20.09.2018</p>
--	--	--

1		03.10.2016	პოლიტიკა ჩამოყალიბდა ახალი სტრუქტურით და გადაინომრა	
1	მუხლი 2.4 ბ) ქვეპუნქტი	03.10.2016	ამოღებულია და/ან სხვა ქვეყნის და ა.შ და დამატებულია EA MLA და ILAC MLA ხელმომწერები	
1	მუხლი 2.5	03.10.2016	ჩამოყალიბებულია ახალი რედაქციით	
1	მუხლი 2.6	03.10.2016	შეიცვალა პირველი აბზაცი	
1	მუხლი 2.8	03.10.2016	ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით	
	მუხლი 4	03.10.2016	დაემატა „სქოლიო“	
2	მუხლი 2.4	27.01.2017	დაემატა „შენიშვნა“	
		20.09.2018	გადაიხედა სრულად	